# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 344

“6” აგვისტო 2021 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, V მიკრორაიონი, კორპუსი №2-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.005.01.515) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის $118^{1}$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, V მიკრორაიონი, კორპუსი №2-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.005.01.515) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 4 აგვისტოს №21.1070.1212 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ფერდობი ნუცუბიძე, მიკრორაიონი V, კორპუსი №2, 1 სართულზე მდებარე 191.26 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.005.01.515) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთ) ლარად პრივატიზებაზე, ელენე ტყემალაძისთვის (პ/ნ. 01009004766) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.
2. განკარგულება ერთის თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე